7. მეიჯარის ვალდებულებები მეიჯარე მოიჯარის წინაშე იღებს ვალდებულებას, რომ: 7.1. მეიჯარე საშუალებას მისცემს მოიჯარეს ისარგებლოს საიჯარო ფართით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; 7.2. მოიჯარეს ექნება შეუზღუდავი წვდომა საიჯარო ქონებასთან 24/7 საათის განმავლობაში; 7.3. თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით არ შეუშალოს ხელი მოიჯარეს საიჯარო ქონებით სარგებლობაში; 7.4. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები; 7.5. გასცეს სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების იურიდიულ მისამართად რეგისტრაციის მიზნებისათვის. ასეთი თანხმობა უნდა გაიცეს მოიჯარის მიერ წერილობითი მიმართვიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. 7.6. მეიჯარე ვალდებულია მოიჯარის მოთხოვნის შემთხვევაში გონივრულ ვადაში მიაწოდოს მეიჯარეს ყველა დოკუმენტაცია რომელიც საჭიროა საიჯარო ქონებაში ბიზნეს საქმიანობის ლიცენზიის ან ნებართვის მოსაპოვებლად, ასევე, შენობის ფასადებზე სხვადასხვა აგრეგატის, წარწერის, ბანერის და ა.შ. განსათავსებლად, რაც იმავდროულად არ წარმოადგენს გარანტიას ან დაპირებას რომ შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან ასეთი სახის ნებართვის ან/და თანხმობის გაცემა განხორციელდება, რაც ასევე, არ უნდა იქნეს მიჩნეული როგორც მეიჯარის მხრიდან ვალდებულებებსი დარღვევა, როგორც საიჯარო ქონებით ნორმალური ფუნქციონირების შეზღუდვა, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი და ა.შ. ამ პუნქტით განსაზღვრული თანხმობის ან დოკუმენტის (მისი არსებობის შემთხვევაში) მეიჯარის მხრიდან მოიჯარისთვის გაუცემლობის გამო დამდგარ ზიანს აანაზღაურებს მეიჯარე.	**7. Obligations of the Lessor** The Lessor undertakes towards the Lessee that: 7.1. The Lessor will allow the Lessee enjoying the area for lease in line with the contractual conditions; 7.2. The Lessee shall enjoy unrestricted access to the property for lease in 24/7; 7.3. With its actions or omissions, will not impede the Lessee to use the property for lease; 7.4. Will adhere to the terms of the hereof Agreement; 7.5. Will issue the consent due certified for the purpose of registration of the property for lease by the Lessee as the legal address of the object. Hereof consent shall be issued by the Lessee no later than within the term of 5 (five) business days upon issue of the written application; 7.6. The Lessor shall, if demanded by the Lessee, within a reasonable time, provide the Lessee with all the documents necessary for obtainment of the license of permit for the business activity in the property for lease, as well as for installment of various aggregates, posters, banners etc. on the facades, which at the same time does not constitute the guarantee or the pledge that the respective agencies will issue the hereof permit and/or license, which shall not as well be deemed as violation of the obligations by the Lessor as the basis for restriction of ordinary operation of the property for lease, termination of the Agreement, etc. The Lessor shall indemnify the Lessee for any damage caused by the failure of the Lessor to provide the consent or document (if any) provided for in this clause. 7.7. The Lessor reserves the right to use the appurtenant area located on the third floor at the point of Rustaveli Avenue and use the left (office) halls and warehouses from the level of Rustaveli Avenue located under the technical building in the yard. The

ჯანუძი

I. Purtseladze

7.7. მეოჯარე იწარჩუნებს უფლებას ისარგებლოს მისი კუთვნილი ფართით, რომელიც მდებარეობს მესამე სართულზე რუსთაველის გამზირის ნიშნულიდან და გამოიყენოს რუსთაველის გამზირის დონიდან მარცხენა (სამსახურეობრივი) სადარბაზო და საწყობი, რომელიც მდებარეობს ეზოში ტექნიკური შენობის ქვეშ. მეოჯარე თანახმაა, რომ შეუძლია გამოყენოს მოცემული ფართი მოიჯარის ნორმალური საოპერაციო საქმიანობისთვის საქმიანობისთვის ზიანის მიყენების გარეშე და მისი სამუშაოს უსაფრთხოებისა და რეჟიმის მოთხოვნის დაცვით. 7.8. მეოჯარე არ ანაზღაურებს ხარჯებს, რომელიც გაიღო მოიჯარემ გასაქირავებელი ფართის რეკონსტრუქცია-განახლებისთვის ამავდროულად, მოიჯარე თანხმობას აცხადებს, რომ თუ საიჯარო ობიექტში არსებული ძველი აგრეგატები და სხვა ტექნიკური მოწყობილობები ჩანაცვლდება (მოხდება ძველის დემონტაჟი ან/და მოხსნა და დამონტაჟდება ან/და დაყენდება ახალი) ახლით, მათზე გავრცელდება მეიჯარის საკუთრების უფლება. ჩანაცვლებად განიხილება ახალი აგრეგატები და ტექნიკის დამატებაც. 7.9. მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ იჯარის ხელშეკრულება მოქმედების პერიოდში მეიჯარე გადაწყვეტს გასაქირავებელი ფართის გასხვისებას, და/ან თუ მეიჯარის წების საწინააღმდეგოდ საიჯარო ფართის მესაკუთრე შეიცვლება, მეიჯარის უფლება-მოვალეობები გადავა ახალ მეპატრონეზე ან ახალ მეიჯარეზე, რაც გათვალისწინებული და დაფიქსირებული იქნება ახალ მეპატრონესთან ან ახალ მეიჯარესთან გაფორმებული შესაბამისი ნასყიდობის ან მართვის ხელშეკრულებაში და წინამდებარე ხელშეკრულების პირობები დარჩება უცვლელი.	Lessor agrees on its capacity to use the hereof area without the prejudice to the ordinary operational activity of the Lessee and in adherence to the security and requirements of its works. 7.8. The Lessor shall not remunerate the costs incurred by the Lessee for reconstruction and renovation of the area for lease. At the same time, the Lessee agrees that if the outdated aggregates and other technical devices in the object for lease are replaced (the outdated aggregates and other devices will be dismantled and/or removed and/or replaced), they will be subject to the application of the property right of the Lessor. Replacement shall imply as well the addition of the new aggregates and devices. 7.9. The Parties agree that in the event, if the Lessor within the validity period of the Leasing Agreement, intends to alienate the area for lease, or and/or if the owner of the leased premises changes against the will of the Lessor, the rights and obligations of the Lessor shall be delegated to the new owner or the new Lessor, which will be envisaged and certified in the respective Purchase or Management Agreement with the new owner or the new Lessor and the conditions of the hereby Agreement will remain unchanged.
8. მოიჯარის ვალდებულებები და უფლებები მოიჯარე ვალდებულია: 8.1. წარუდგინოს მეიჯარეს საიჯარო ქონებაში ჩასატარებელი ძირითადი სარემონტო სამუშაოების (იგულისხმება კონსტრუქციული ნაწილი და საინჟინრო კომუნიკაციების ნაწილი) სრული სპეციფიკაცია (წერილობითი და ელექტრონული ფორმით) და გამოიყენოს საიჯარო ქონება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულების შესაბამისად; მხარეები ადასტურებენ, რომ მიმდინარე და კოსმეტიკური რემონტის ნაწილის მეიჯარესთან შეთანხმება არ წარმოადგენს მოიჯარის ვალდებულებას. 8.2. დადგენილ ვადაში გადაიხადოს საიჯარო ქირა;	**8. Rights and Obligations of the Lessee** The Lessee shall: 8.1. Provide the Lessor with a full specification of the main repairs (implies the constructive part and engineering communications) to be made to the rental property (in writing and electronically) and use the property for lease in line with the purpose stipulated under the hereby Agreement solely; The parties confirm that the Lessee shall not be obliged to agree current and cosmetic repairs with the Lessor. 8.2. Pay the rent within the established term; 8.3. Strictly adhere to the fire prevention, technical and other security rules, sanitary requirements, other

ქ. ბუღი

T. Davitashvili

8.3. მკაცრად დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო, ტექნიკური და სხვა უსაფრთხოების წესები, სანიტარული მოთხოვნები, საიჯარო ქონების კუთვნილი მოწყობილობების და ინვენტარის, აგრეთვე საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლუატაციის კანონით და სხვა ნორმატიული ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები;

8.4. მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად, ხოლო დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეიჯარეს და აღმოფხვრას იგი გონივრულ ვადაში თავისი ხარჯებით;

8.5. მოიჯარის წინასწარი თანხმობითა და უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, დაუბრკოლებელად შეუშვას საიჯარო ფართში მეიჯარე ამ ხელშეკრულების პირობების შესრულების, სანიტარული და ტექნიკური პირობების კონტროლის და შემოწმების მიზნით იმ პირობით, რომ მოიჯარეს ასეთი ვიზიტის შესახებ შეტყობინება გადაცემული ექნება 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს თვეში ერთზე მეტჯერ, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა.

8.6. მოიჯარემ საიჯარო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს **საიჯარო ქონების** დაზღვევა და მისი (საიჯარო ქონების) ღირებულება არ უნდა იყოს 9 000 000 აშშ დოლარზე ნაკლები. დაზღვევა უნდა მოიცავდეს: საიჯარო ქონების ნებისმიერი მიზეზით განადგურებას, ასევე, ძარცვას, ქურდობას და ყაჩაღობას, ასევე, ფასადის და მზიდი კონსტრუქციების დაზიანებას. სადაზღვევო პოლისი ასევე უნდა ვრცელდებოდეს შენობის ტერიტორიის (საკადასტრო წითელი ხაზების ფარგლებში) ფარგლებში არსებულ ნივთებზე, რომელიც წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებას.ან/და თანასაკუთრებას (რომლითაც სარგებლობს მოიჯარე).

8.7. აღნიშნული სადაზღვევო პოლისის ბენეფიციარს წინამდებარე მუხლის 8.6 პუნქტში აღნიშნული მიზნებისთვის უნდა წარმოადგენდეს მეიჯარე, ხოლო თუ სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება დაფარავს მოიჯარისთვის დამდგარ ზიანსაც, მეიჯარე ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაურიცხოს მას მოიჯარის დაზიანების აღმოფხვრის მიზნით მიღებული თანხა. ასევე, მეიჯარე გარანტიას იძლევა რომ იმ დაზიანებაზე, რომელზეც ანაზღაურებას მიიღებს სადაზღვევო კომპანიისგან, პრეტენზია არ ექნება მოიჯარის მიმართ.

requirements for operation of the machinery and inventory of the property for lease, as well as engineering communications and networks established under the Law on Exploitation and other normative or by-law normative acts;

8.4. Undertake all necessary measures to prevent damages, and in case of the damage, serve the immediate notice to the Lessor and eliminate the damages at own expenses within the reasonable term;

8.5. Based on the preliminary consent of the Lessee and in presence with the authorized proxy, provide the Lessor with uninterrupted admission to the area for lease in view of fulfillment of the hereby Agreement, control and inspection of the sanitary and technical conditions under the condition that the Lessee shall be notified about the hereof visit 3 (three) business days prior, however, the visits shall not exceed once per month other than the urgencies.

8.6. The Lessee must provide insurance of the leased property at his/her own expense, and its (of the leased property) value must not be less than USD 9,000,000. The insurance must include: destruction of the leased property for any reason, as well as robbery, theft and burglary, and damage to the façade and supporting structures. The insurance policy shall also apply to the items within the territory of the building (within the cadastral red lines) owned by the Lessor and/or joint ownership (used by the Lessee).

8.7. The beneficiary of this insurance policy must be the Lessor for the purposes indicated in clause 8.6. of this article, and if the insurance payment received on the basis of the insured event covers the damage caused to the Lessee, the Lessor shall be obliged to immediately transfer the amount received to repair the damage to the Lessee. The Lessor also guarantees not to claim against the lessee in connection with the damage, which will be compensated by the insurance company.

8.8. The Lessee must fulfil the obligation set out in clause 8.6 within 1 calendar month of signing the agreement and hand over the insurance policy to the Lessor. There must not be a period between transfers from the old policy to the new policy during which the insurance will not be valid. The Lessee shall be responsible solely for paying any costs associated with the insurance.

8.9. The Lessee must choose the building's insurance indicated in clause 8.6, its detailed conditions, limitations, deductibles and the appropriate insurance

I. Davitashvili

8.8. მოიჯარემ 8.6 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება უნდა შეასრულოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 კალენდარული თვის ვადაში და მეიჯარეს გადასცეს სადაზღვევო პოლისი. ძველი პოლისიდან ახალ პოლისზე გადასვლას შორის არ უნდა არსებობდეს პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა არ იმოქმედებს. მხოლოდ მოიჯარეა პასუხისმგებელი გადაიხადოს დაზღვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი.

8.9. მოიჯარემ წინამდებარე მუხლის მე-8.6 პუნქტში მითითებული შენობის დაზღვევა, მისი დეტალური პირობები, ლიმიტები, ფრანშიზა და შესაბამისი სადაზღვევო კომპანიის შერჩევა მოიჯარემ უნდა განახორციელოს მეიჯარესთან შეთანხმებით და მისი თანხმობით.

8.10. ორაზროვნების გამოსარიცხად, მხარეები განმარტავენ, რომ წინამდებარე მუხლის 8.6, 8.7, 8.8 და 8.9 მუხლებში აღწერილი დაზღვევის გარდა, თუ მოიჯარე დააზღვევს საკუთარი ხარჯით განხორციელებულ ტექნიკის, აგრეგატების და სხვა პირად საკუთრებაში არსებულ ქონებას საიჯარო ქონებაში, მოცემული დაზღვევის მიზნებისთვის ბენეფიციარად განისაზღვრება მოიჯარე.

8.11. მოიჯარის განზრახი ქმედებით ან დაუდევრობით/გაუფრთხილებლობით საიჯარო ქონებაში ან საერთო სარგებლობის ფართებში რაიმე სახის დაზიანების შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეიჯარეს ამგვარი ზიანის შესახებ წერილობით. მოიჯარე ვალდებულია აანაზღაუროს ამგვარი ზიანი სრულად და გონივრულ ვადაში დაუბრუნოს საიჯარო ქონებას ის სახე, რომელიც ჰქონდა დაზიანებამდე. დარღვევის გამოსწორების ვადას განსაზღვრავს მეიჯარე. ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია არსებულ დაზიანებაზე და მის აღმოსაფხვრელად საჭირო ვადაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ან/და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ამასთან მხარეები თანხმდებიან, რომ მიმდინარე რემონტის ჩატარების აუცილებლობა საიჯარო ქონებაზე შესაძლოა არ უკავშირდებოდეს ზემოთ დასახელებულ მიზეზებს და გამოწვეული იყოს საიჯარო ობიექტის ხანგრძლივი ექსპლუატაციით, კერძოდ 3 კალენდარული წელი და მეტით საიჯარო ქონების სარგებლობის შემთხვევა განიხილება, როგორც მოიჯარის მხრიდან მიმდინარე რემონტის სავალდებულოდ ჩატარების წინაპირობა.

8.12. მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში საკუთარი ხარჯით სათანადო მდგომარეობაში შეინარჩუნოს საიჯარო

company in agreement with the Lessor and his/her consent.

8.10. For the avoidance of doubt, the parties hereto specify that, in addition to the insurance described in Sections 8.6, 8.7, 8.8 and 8.9 of this Article, if Lessee insures at its own expense equipment, aggregates and other personal property in the Leased Property, Lessee shall be the beneficiary for purposes of this insurance.

8.11. In the event of any damage to the leased property or common areas resulting from a deliberate act or negligence/carelessness of the Lessee, the Lessee shall immediately notify the Lessor in writing of such damage. The Lessee shall be obliged to compensate for such damage in full and return the leased property to the same condition as it was before the damage within a reasonable period of time. The deadline for repairing the damage shall be determined by the Lessor. The determination of the deadline depends on the damage present and the time needed to repair it. Otherwise, the Lessor shall be authorised to terminate the agreement and/or demand compensation for the damage. At that, the Parties agree that the necessity of the repair of the property for lease may not be related to the above-mentioned causes and may be entailed with the excessive operation of the object for lease, use of the property for lease for namely three calendar years and over shall be deemed as the pre-condition for the mandatory repair by the Lessee.

8.12. The Lessee shall within the validity of the Agreement at own expenses maintain the area for lease in a proper condition and comply with the obligations under Article 6.

8.13. Any damage inflicted to the area for lease entailed with entry or removal of the property by the Lessee to the premise, as well as any other damage (including inflicted with fire or flood) inflicted by the Lessee (by negligence or mistake), by its employees, agents, personnel, engaged persons or the visitors shall be eliminated by the Lessee at own expenses in compliance with the procedure indicated in clause 6.2. Avoid any doubt the Lessee shall be obliged to pay the rental fee during this whole period.

8.14. The Lessee shall, at own expenses, ensure due operation and due condition of the area for lease and the machinery and devices therein during the validity period of the Agreement and shall prevent aggravation

ჯანუტი

I. Davitashvili

ქონება და დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრული პირობები.

8.13. გასაქირავებელი ფართისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანი, რაც გამოწვეული იქნება მოიჯარის მიერ შენობაში მისი ქონების შეტანით ან ქონების გამოტანით, აგრეთვე ყოველგვარი დაზიანება (გაჩენილი ხანძრის ან წყლის დატბორვის ჩათვლით) მიყენებული მოიჯარის (მისი შეცდომით ან დაუდევრობით), მისი თანამშრომლების, აგენტების, მომსახურე პერსონალის, მოწვეული პირების ან სტუმრების მიერ გამოსწორებული იქნება მოიჯარის მიერ, მისივე ხარჯებით 6.2 პუნქტის პროცედურების დაცვით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მოიჯარე ვალდებული იქნება მთელი ამ პერიოდის მანძილზე გადაიხადოს საიჯარო ქირა.

8.14. მოიჯარე ვალდებულია საკუთარი სახსრებით, იქონიოს გასაქირავებელი ფართი და მასში არსებული მოწყობილობები და მანქანა-დანადგარები გამართულ მდგომარეობაში იჯარის მოქმედების მთელ პერიოდში და არ დაუშვას მათი ხარისხის გაუარესება, და ასევე მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტისას დააბრუნოს ყველა გასაღებები, საკეტები და სხვა მათთან დაკავშირებული საგნები (გარდა მოიჯარის პირადი ქონებისა).

8.15. მოიჯარისთვის გადაცემული მეიჯარის კუთვნილი მატერიალური ფასეულობების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, მოიჯარე ვალდებულია შეაკეთოს, აღადგინოს, შეცვალოს ექვივალენტურით ან აუნაზღაუროს მეიჯარეს მიყენებული ზარალი, ხოლო არსებული აგრეგატების ან/და სხვა მოწყობილობების მოიჯარის ხარჯით ახლით ჩანაცვლების შემთხვევაში გადასცეს მეიჯარეს მათზე საკუთრების უფლება.

8.16. მოიჯარე უზრუნველყოფს საიჯარო ქონების უსაფრთხოებას კვირაში 7 დღე, 24 საათის განმავლობაში, რათა თავიდან იქნებს აცილებული შენობაში არაავტორიზებული შეღწევა.

8.17. მოიჯარე კისრულობს ვალდებულებას საიჯარო ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად იზრუნოს იჯარით აღებული ფართის მოვლა-პატრონობაზე. ამასთან მოიჯარისთვის ცნობილია, რომ გასაქირავებელი ფართი აღირიცხება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სიაში და მას გააჩნია უძრავი ძეგლის სტატუსი, მასში განხორციელებული სამუშაოებისათვის შესაძლოა საჭირო გახდეს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების დამატებითი ნებართვა, ეს და კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ

of the quality thereof, as well as upon termination of the Agreement on the basis of the Acceptance and Delivery Certificate, return all the keys, locks and other related items (other than the personal items of the Lessee).

8.15. In the event of the damage or the loss of the material values delegated by the Lessor to the Lessee, the Lessee shall repair, restore, replace with the equivalent or remunerate the damage to the Lessor, and in the event of replacement of the aggregates and/or other devices at the expenses of the Lessee, shall delegate the property right thereon to the Lessor.

8.16. The Lessee shall ensure the security of the premise in 24/7 to prevent unauthorized admission to the building.

8.17. The Lessee undertakes to, pursuant to Article 6 of the Leasing Agreement, ensure the maintenance of the facades of the leased area. At that, the Lessee is aware that the area for lease is enlisted as the Monument of the Cultural Heritage of Georgia and holds the status of the ancient monument, and hence, the works envisaged thereon may require the additional permit by the respective authorized agencies, and the Agreement on Maintenance of the Monument concluded with the National Agency of Cultural Heritage Preservation of Georgia.

8.18. The Lessee holds no negotiations with either party concerning the rent of purchase of the area on the upper floors of the premise (approximately 900 m2) other than with the Lessor. Violation of the hereof condition by the Lessee entitles the Lessor to unilaterally terminate the Agreement and impose the penalty to the Lessee in the amount of the rent for 12 calendar months of the 5th lease year of the Lease Agreement.

8.19. The Lessee shall be empowered to harbor the Agreement with the telecommunication operators to ensure provision of the telecommunication services in the area for lease with the condition that the operator installs the technical equipment and the cables in line with the rules of the Lessee and other regulations of the Agreement related to implementation of the activity of the Lessee.

8.20. The Lessee shall be entitled to hold the maintenance, technical or engineering works in the property for lease necessary for the purpose of the activity of the Lessee, for maintenance of the operating condition of the property or for elimination of the malfunction, as in the whole property for lease so in

ჯ-ნ ქ.

I. Davitashvili

საგნტოს შორის გაფორმებულია ძეგლის მოვლა პატრონობის შეთანხმება.

8.18. მოიჯარე არანაირ მოლაპარაკებას არ აწარმოებს შენობის ზედა სართულებზე განლაგებული სხვა ფართის (დაახლოებით 900 კვ.მ.) ქირავნობის ან შესყიდვის შესახებ არც ერთ მხარესთან, გარდა მეიჯარისა. მოიჯარის მიერ აღნიშნული პირობის დარღვევა მეიჯარეს ანიჭებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება და მოიჯარეს დააკისროს ჯარიმა საიჯარო ხელშეკრულების მე-5 საიჯარო წლის 12 კალენდარული თვის საიჯარო თანხის ოდენობით.

8.19. მოიჯარეს აქვს უფლება ხელშეკრულება დადოს სატელეკომუნიკაციო ოპერატორებთან, რომელიც უზრუნველყოფს საიჯარო ფართში სატელეკომუნიკაციო სერვისების გაწევას, იმ პირობით, რომ ოპერატორი ტექნიკური აღჭურვილობის და კაბელების დამონტაჟებას განახორციელებს მოიჯარის წესების და ამ ხელშეკრულების სხვა პირობების შესაბამისად, რომელიც დაკავშირებულია მოიჯარის საქმიანობის განხორციელებასთან.

8.20. მოიჯარეს აქვს უფლება საიჯარო ქონებაში განახორციელოს სარემონტო, ტექნიკური ან საინჟინრო სამუშაო, რომელიც საჭიროა მოიჯარის საქმიანობის მიზნებისთვის, ქონების სამუშაო მდგომარეობის შესანარჩუნებლად, აწ გაუმართაობის გამოსასწორებლად, როგორც მთელ საიჯარო ქონებაში ასევე მის წებისმიერ ნაწილში. მოიჯარე ვალდებულია მზიდ კონსტრუქციებზე ცვლილების განხორციელების შემთხვევაში მიიღოს მეიჯარისგან წერილობითი თანხმობა. მოიჯარე გარანტიას იძლევა და პასუხისმგებლობას იღებს, რომ თუ განახორციელებს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს, გამოიყენებულ იქნებიან კვალიფიციური ექსპერტები და კომპანიები, რომლებიც საჭიროებისამებრ ფლობენ ყველა სახის ნებართვას (ლიცენზიებს და სხვას), რომლებიც ძალაშია საქართველოში. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ უნდა გასცეს საბანკო გარანტია ან/და დეპოზიტზე განათავსოს სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების ღირებულების 10%, რითიც უზრუნველყოფილი იქნება სარემონტო სამუშაოების განხორციელების პერიოდში საიჯარო ქონების დაზიანებით დამდგარი შესაძლო ზიანი. ამავდროულად, სარემონტო სამუშაოების შემსრულებელი კომპანია ვალდებულია გასცეს გარანტია და აიღოს ფინანსური

any part thereof. The Lessee shall, in case of the changes bearing the structural elements, seek for the written permit of the Lessor. The Lessee guarantees and undertakes that the maintenance-construction works will be ensured through the engagement of the qualified experts and companies holding every kind of the permit (licenses etc.) valid in Georgia. The company holding the maintenance-construction works shall issue the bank guarantee and/or deposit 10% of the works according to the cost estimate of the maintenance works to secure the possible damage to the property for lesse incurred during the maintenance works. At the same time, the company holding the maintenance works shall issue the guarantee and assume the financial responsibility for the quality of the works with at least three calendar years.

8.21. The Lessee shall be obliged to hand over the complete renovation projects, drawings and full technical documentation, both in hard copy and in electronic form.

ჯ-ჩუთი

T. Davitashvili

პასუხისმგებლობა მის მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხზე არანაკლებ 3 კალენდარული წლით. 8.21. მოიჯარე ვალდებულია სრულად გადასცეს განხორციელებული სარემონტო სამუშაოების პროექტები, ნახაზები და სრული ტექნიკური დოკუმენტაცია, როგორც ბეჭდურ ისე ელექტრონულ ფორმატში.	
9. სხვა პირობები 9.1. მეიჯარე აცხადებს რომ იგი არის ქონების ერთადერთი კანონიერი მესაკუთრე და გარანტიას იძლევა, რომ გასაქირავებელი ფართი არ არის უფლებრივად დატვირთული და მასზე არ ვრცელდება მესამე მხარეთა უფლებები. 9.2. მოიჯარე აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია ის გარემოება, რომ იმ შენობაში სადაც განთავსებულია საიჯარო ქონება საკუთრების უფლება ეკუთვნის სხვა სუბიექტსაც და აღნიშნული არ იქნება განხილული როგორც საიჯარო ქონებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა.	**9. Other Conditions** 9.1. The Lessor declares that he/she is the only legal owner of the property and guarantees that the area for lease is not under encumbrance and is not subject to the application of the rights of the third parties. 9.2. The Lessee declares that he/she is aware of the circumstance that the building where the leased property is located also contains the premises belonging to other subjects and it will not be deemed as restriction of the right of use of the property for lease.
10. საიჯარო ქონების დაბრუნება 10.1. მოიჯარე ვალდებულია, დაუბრუნოს საიჯარო ქონება მეიჯარეს ნიწამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 24 საათის განმავლობაში. მხარეები ითანამშრომლებენ ხელშეკრულების შეწყვეტის რეგისტრაციის უზრუნველსაყოფად საჯარო რეესტრში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 10.2. საიჯარო ქონების დაბრუნებისას უნდა შეესაბამებოდეს ე.წ. თეთრი კარკასის მდგომარეობას (რაც გულისხმობს და არ შემოიფარგლება: კედელზე არსებული ნახვრეტები შევსებული და დაგრუნტული, მომზადებული შესაღებად, იატაკზე არსებული დაზიანებები აღმოფხვრილი, სხვადასხვა ლოგოს ან აგრეგატის მოხსნის შედეგად დარჩენილი დაზიანებები აღმოფხვრილი, დაგრუნტული, მომზადებული შესაღებად).	**10. Return of the property for lease** 10.1. The Lessee shall return the property for lease to the Lessor within the term of 24 hours upon expiration of the Agreement. The parties will cooperate for uninterrupted registration of the termination of the Agreement in the Public Register in compliance with the legislation of Georgia. 10.2. When returning a rental property, it must comply with the so-called "white frame" (which implies, but is not limited to: holes in the walls must be filled and primed, prepared for painting, damage to the floor must be repaired, damage left by the removal of various logos or units must be repaired, primed and prepared for painting).
11. პასუხისმგებლობა 11.1. ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. 11.2. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარის ინიციატივით მოხდება ამ ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტა არანაკლებ 12 (თორმეტი) თვით ადრე	**11. Responsibility** 11.1. In the event of violation of the Agreement, the responsibility shall be imposed to the Parties in accordance with the hereby Agreement and the active legislation of Georgia. 11.2. In the event of premature termination of this agreement at the initiative of the Lessee without prior notice of at least twelve (12) months earlier, the Lessee

ქანუთი

I. Pavitashvili

წინასწარი შეტყობინების გარეშე, მაშინ მოიჯარემ მეიჯარეს ზიანის ანაზღაურების სახით, უნდა გადაუხადოს მე-5 საიჯარო წლის 12 კალენდარული თვის საიჯარო თანხა.

11.3. თუ მოიჯარე გააჭიანურებს საიჯარო ქონების დაბრუნებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ან უარს იტყვის ხელშეკრულების შეწყვეტის რეგისტრაციაზე საჯარო რეესტრში, ან/და შეწყვეტს საიჯარო ქირის გადახდას დაეკისრება საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება დაყოვნების მთელი პერიოდისთვის. ასეთ შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია მოახდინოს ფაქტების კონსტატაცია და ამ მიზნით დაუბრკოლებლად შევიდეს საიჯარო ქონებაში შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულების მეშვეობით, გახსნას ნებისმიერი ფორმითა და საშუალებებით საიჯარო ქონება, შეადგინოს საიჯარო ქონების გახსნისა და აღწერის ოქმი (რომელსაც სადავოობისას გააჩნია იურიდიული მტკიცებულების ძალა), საიჯარო ქონებაში არსებული ქონება გადაიტანოს სხვა ადგილას შესაბამისად (ამ შემთხვევაში მოიჯარე მეიჯარეს უხდის შენახვის ხარჯებსაც).

11.4. ა) შენობა ნაგებობისთვის ფასადის და მისი შემადგენელი არქიტექტურული ელემენტების შეცვლა სასტიკად აკრძალულია. (გარდა კანონით დადგენილი წესით და შესაბამისი ნებართვის საფუძველზე განთავსებისა) და სხვა ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ცვლის შენობა-ნაგებობის იერსახეს. თუ მოიჯარის მიერ განხორციელდება აღნიშული უძრავი ქონების ფასადის ცვლილება (ნებისმიერი ფორმით/სახით), და არ უზრუნველყოფს მის ჩამოხსნას მეიჯარის შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, ასეთ შემთხვევაში იგი დაჯარიმდება ერთჯერადი ჯარიმით 10000 აშშ დოლარის ეკვივალენტით ქართულ ლარში. იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე არ აღმოფხვრის დაზიანებას, მეიჯარე საკუთარი ინიციატივით და ხარჯით მოახდენს შეცვლილი ფასადის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანას, რომლისთვის ჩატარებულ სამუშაოებზე წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება დაეკისრება მოიჯარეს.

ბ) მოიჯარის მიერ განხორციელებული მოქმედებების შედეგად (სარემონტო ან სხვა სამუშაოების/მოქმედებების შედეგად) თუ გამოწვეული იქნება საიჯარო ქონების დაზიანება; კერძოდ (ნებისმიერი თვითნებური (მეიჯარის თანხმობის გარეშე) ზემოქმედება) სარგებლობის

shall pay the rent to the Lessor for 12 calendar months of the fifth year of the lease as the damage recovery.

11.3. If the Lessee delays return of the property for lease within the terms established under the Agreement, or rejects registration of termination of the Agreement in the Public Registry, and/or halts payment of the rent, he/she will be imposed the obligation to pay the rent for the whole period of delay. In such a case, The Lessor shall be entitle to state the facts and for this purpose to enter the leased property without hindrance through the duly authorised agency, open in any form and by any means the property for lease, conclude the Opening and Inventory Act of the property for lease (which upon being disputable has the legal force of evidence), to transfer the items in the property for lease to other location (in this case, the Lessee shall pay the storage costs to the Lessor).

11.4. A) Replacement of the façade and its integral architectural elements of the premise shall be strictly inadmissible (other than if otherwise established under the law and on the basis of the respective permit) and any other impact changing the appearance of the premise. In the event, if the Lessee still modifies the façade of the real estate (in any form and manner), and fails to ensure its removal within the term of 10 business days upon the notice of the Lessor, he/she shall be imposed with one-time penalty in the amount of 10000 USD equivalent in GEL. If the Lessee fails to repair the damage, the Lessor, at its own initiative and at its own expense, will bring the changed façade back to its original form, compensation for the work performed shall be payable by the Lessee in accordance with the submitted estimate.

B) If the actions of the Lessee (maintenance or other works) result in damage of the property for lease, namely (any arbitrary (without the permit of the Lessor) impact) essential damage/destruction of the property, in such a case, the Lessee shall be imposed with the single penalty in the amount of 2000 USD in equivalent in GEL. Besides, the Lessee shall at own expenses and in agreement with the Lessor, within 5 (five) days eliminate the damage inflicted by him/her or bring the real estate to the initial condition. Otherwise, he/she will be additionally imposed with the penalty in the amount of 2000 USD in equivalent in GEL. For the purpose of

ჯ. ნ.

I. Davitashvili

ქონების არსებითი დაზიანება/განადგურება, ასეთ შემთხვევაში მოიჯარე დაჯარიმდება ერთჯერადი ჯარიმით 2000 აშშ დოლარის ეკვივალენტით ქართულ ლარში, გარდა ამისა იგი ვალდებულია საკუთარი ხარჯით 5 (ხუთი) დღის ვადაში მეიჯარესთან შეთანხმებით მოახდინოს/განახორციელოს მისი მოქმედებების შედეგად დამდგარი ზიანის აღმოფხვრა/უმჯობესი ქონების პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში დამატებით დაეკისრება ჯარიმა- 2000 აშშ დოლარის ექვივალენტი ქართულ ლარში. ამ მუხლის მიზნებისთვის არსებით დაზიანებად ჩაითვლება წებისმიერი დონის ზემოქმედება მზიდ კონსტრუქციებზე. მზიდ კონსტრუქციებზე ზემოქმედება არ ჩაითვლება ამ ხელშეკრულების დარღვევად თუ მოიჯარე მეიჯარისგან მიიღებს ამ სამუშაოების (მზიდ კონსტრუქციებზე ზემოქმედების) ჩატარებისთვისწერილობით თანხმობას, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს კონსტრუქტორის შეფასება-ანალიზს.	hereby Article, the essential damage implies the impact of any degree on the bearing structures. Impact on the bearing structures shall not be deemed as the breach of this Agreement if the Lessee acquires the written permit from the Lessor on hereof works (impact on the bearing constructions) which shall be based on estimation and analysis by the constructor.
11.5. იჯარის ვადის გასვლის შემდგომ, 24 საათის განმავლობაში მხარეები ვალდებულნი არიან ხელი მოაწერონ საიჯარო ფართის მიღება-ჩაბარების აქტს, სადაც უნდა აისახოს მეიჯარის მხრიდან არსებული პრეტენზიები, საიჯარო ქონების მიმართ მიყენებული ზიანის შესახებ, მოიჯარე ვალდებულია გამოასწოროს ნაკლი მიღება-ჩაბარების აქტით შეთანხმებულ ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე განაცხადებს უარს საიჯარო ქონებისთვის მიყენებული ზიანის აღდგენაზე მის მიმართ გაუფრთხილებელი მოპყრობის/გამოყენების შედეგად, მიყენებული ზიანის სიდიდის, აღდგენითი მეკეთების, სხვა შესაბამისი დანახარჯის შეფასება უნდა გამომდინარეობდეს ქონებისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრულ კონდიციაში მოყვანის მიზნებიდან და შეფასებულ იქნეს მეიჯარის მიერ მოწვეული სათანადო ლიცენზიის მფლობელი ექსპერტის/კომპანიის მიერ, ექსპერტის/კომპანიის მომსახურების ხარჯი თანაბრად გაიყოფა, ხოლო მისი შეფასება დაექვემდებარება მოიჯარის მიერ უპირობო მიღებას.	11.5. The Parties, upon expiration of the leasing period and within 24 hours, shall sign the Acceptance and Delivery Certificate of the area for lease, which shall reflect the claims of the Lessor on the damage inflicted to the property for lease. The Lessee shall eliminate the damage within the term established under the Acceptance and Delivery Certificate. In case if the Lessee refuses to eliminate the damage to the property for lease inflicted due to the negligence use/treatment, the capacity of the damage, and costs for the restoration works or other respective expenses shall derive from the objective to bring the property to the initial condition and shall be estimated by the expert/company holding the respective license and engaged by the Lessor. The costs for the service of the expert/company shall be divided in an equal manner and estimation thereof shall be subject to unconditional acceptance by the Lessee.
12. ფორს-მაჟორი	**12. Force Majeure**
12.1 ხელშეკრულების მიზნებისათვის, „ფორს-მაჟორი" ნიშნავს შემთხვევას, რომელიც არ ექვემდებარება მეიჯარის ან მოიჯარის გონივრულ კონტროლს და რომელიც შეუძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული	12.1 For the purpose of this Agreement, force majeure implies the event beyond the reasonable control of the Lessor or the Lessee and which makes fulfillment of the obligations under Agreement impossible and includes without limitation the war,

T. Davitashvili

ვალდებულებების შესრულებას და შეუზღუდავად მოიცავს ომს, საომარ მოქმედებებს, ამბოხებებს, სამოქალაქო არეულობას, მიწისძვრას, ხანძარს, აფეთქებას, ქარიშხალს, წყალდიდობას, ეპიდემიას, სახელმწიფო აქტებს, კონფისკაციას ან მთავრობის (სახელმწიფოს) მიერ განხორციელებულ სხვა ქმედებას. მხარე, რომელსაც წარმოეშვა ფორს-მაჟორი ვალდებულია: (ა) აღნიშნული გარემოებ(ებ)ის დადგომიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში მიაწოდოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორულ გარემოებ(ებ)თან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის აღწერას, მისი მოქმედების სავარაუდო ხანგრძლივობას, შეწყვეტის შემთხვევაში შეწყვეტის თარიღს/დროს და (ბ) მიიღოს აუცილებელი ზომები ამ გარემოებ(ებ)ით გამოწვეული/მოსალოდნელი შედეგების (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ზიანის/ზარალი) შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორი არ წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, მხარემ მომდევნო 5 (ხუთი) დღის ვადაში მეორე მხარეს უნდა წარუდგინოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის თაობაზე.

12.2 ფორს-მაჟორის მოქმედების განმავლობაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მათი შესრულების ვადები შეჩერდება და გადავადდება ფორს-მაჟორის ხანგრძლივობის შესაბამისად. აღნიშნული ვადების დინება ან/და ვალდებულებების შესრულების პირობა განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის აღმოფხვრისთანავე. ასევე მხარეები თანხმდებიან, რომ ფორსმაჟორის მოქმედების პერიოდში მოიჯარე საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისგან თავისუფლდება.

12.3 იმ შემთხვევაში, თუ ფორსმაჟორული გარემოებები გრძელდება ორ (2) თვეზე მეტ ხანს ან თუ არსებობს დასაბუთებული საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ფორსმაჟორი გაგრძელდება ორ (2) თვეზე მეტ ხანს, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ფორსმაჟორულ გარემოებას მოიცავს ნორმატიული აქტი, რომელიც ხელს უშლის მხარეებს შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, მხარეები დაუყოვნებლივ დაიწყებენ მოლაპარაკებებს, რათა შეთანხმდნენ წინამდებარე შეთანხმებაში იმ ცვლილებებზე, რომლებიც აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ გაწაგრძონ ვალდებულებების შესრულება ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არსებულ

military actions, riots, civil disorders, earthquake, fire, explosion, hurricane, flood, epidemic, state acts, confiscation or any other actions by the Government (state). The party affected by force majeure shall: (a) within 5 (five) days of the occurrence of the said circumstance(s) provide the other party with information relating to force majeure, which shall include a description of the force majeure circumstances, the expected duration thereof, the date/time of termination if terminated, and (b) take necessary measures to reduce/eliminate the caused/expected consequences (including expressly damage/losses). Furthermore, if the circumstances of force majeure are not a matter of common knowledge, the party shall within the next 5 (five) days provide the other party with a certificate of the occurrence of the circumstances of force majeure issued by the relevant authority.

